



# თურ ჰეიერდალი მოუსვენრობის კაცი

არჩილ ქიქოძე

ამ ადამიანის სახელი იცის ყველამ, ვისაც მოგზაურობა და თავგადასავალი იტაცებს. თურ ჰეიერდალის წიგნები მსოფლიოს მრავალ ენაზეა ნათარგმნი, მათ შორის, ქართულად. კაცი, რომელიც წამდვილი მეოცნებე იყო, ადამიანი რომელმაც ტექნოლოგიურ XX საუკუნეში მოახერხა და ყველაზე არაორდინალური ცხოვრებით იცხოვრა. მისი მეცნიერული მიგნებების უმეტესობა დღეს უგულებელყოფილია, მართალია, მათ თავის დროზეც ეჭვის თვალით უყურებდნენ, მაგრამ ყველაზე დიდ სკეპტიკოსებსაც კი მისი უდიდესი პატივისცემა ჰქონდათ, რადგან ჰეიერდალი რისკის და თავგადასავლის კაცი იყო, ადამიანი, რომელმაც თავად გამოჭედა საკუთარი ბედი, რომელსაც ახალგაზრდობაში წყლის პანიკური შიში ჰქონდა და იმდენი ქნა, რომ მარტივი ხის ტივით უზარმაზარი ოკეანე გადაცურა. თურ ჰეიერდალი იყო კაცი, რომელმაც საკუთარ პატარა ქვეყანას კიდევ უფრო გაუთქვა სახელი, როგორც მოგზაურთა სამშობლოს. დაბოლოს, თანამემამულეებმა თურ ჰეიერდალი XX საუკუნის ყველაზე გამოჩენილ ნორვეგიელად აღიარეს!

მომავალი მოგზაური 1914 წელს დაიბადა ნორვეგიის სამხრეთით, ზღვის პირას მდებარე არაფრით გამორჩეულ დაბა ლავრიკში, ლუდის მწარმოებლის ოჯახში. ბავშვობიდან იტაცებდა ზოოლოგია და სახლში პატარა ზოოპარკიც ჰქონდა, რომლის ყველაზე გამორჩეული ბინადარი შხამიანი გველგესლა იყო.



**ბიორ კრაპელინი (1890-1966)** – კომერსანტი ბერგენიდან, რომელიც გატაცებული იყო პოლინეზიით. ცნობილია პოლინეზიური კულტურის შესახებ თავისი უნიკალური ბიბლიოთეკით.

მომავალმა მოგზაურმა ოსლოს უნივერსიტეტის საბუნებისმეტყველო ფაკულტეტზე ჩააბარა და სწორედ იქ შეხვდა გამოჩენილ ნორვეგიელ მეცნიერს ბიორ კრეპელინს, რომელსაც ტაიტისა და წყნარი ოკეანის სხვა კუნძულებზე მრავალი წელი ჰქონდა გატარებული. მასთან საუბრები და მისი მდიდარი ბიბლიოთეკის გაცნობა ჰეიერდალის ცხოვრებაში გადამწყვეტი აღმოჩნდა. უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ ახლადმოყვანილ ცოლთან ერთად ჰეიერდალი ტაიტზე გაემგზავრა, იქიდან კი – კუნძულ ფატუ-ჰივაზე, სადაც არც ერთი თეთრკანიანი ადამიანი არ ცხოვრობდა. ჰეიერდალის მიზანი იყო ცივილიზაციისგან შორს ეცხოვრა, პირველყოფილ სამოთხეში, თავად მოეპოვებინა სარჩო-საბადებელი და დაუფლებოდა პირველყოფილ პირობებში გადარჩენის ხელოვნებას. ფაქტობრივად, ის და მისი მეუღლე პირველი ჰიპები იყვნენ, მაგრამ მათი ჰიპური ცხოვრება სულ არ იყო ადვილი და უხიფათო. კუნძულზე ჯერ კიდევ არსებობდა კანიბალიზმი, გარდა ამისა, მათ წინ მრავალი სახიფათო თავგადასავალი და მანამდე მათთვის უცხო დაავადებები ელოდათ. ერთ-ერთმა ავადობამ კინალამ მისი მეუღლის, ლივის, სიცოცხლე შეინირა, ხოლო ბოლოს, როცა ადგილობრივებთანაც გაუფუჭდათ ურთიერთობა, წყვილს სასწრაფოდ მოუწია კუნძულის დატოვება. თუმცა მანამდე, ფატუ-ჰივაზე გატარებული ერთი წლის განმავლობაში, ჰეიერდალი მართლა იქცა ტროპიკებში გადარჩენის სპეციალისტად, ბევრი რამ შეიტყო ადგილობრივთა წეს-ჩვეულებებზე, ხოლო ტომის ბელადისგან მოისმინა ლეგენდა უხსოვარ დროში დიდი კუნძულიდან ნავეებით მოსული ადამიანების შესახებ. ჰეიერდალმა მაშინვე ჩათვალა, რომ დიდი კუნძული სამხრეთ ამერიკის კონტინენტი უნდა ყოფილიყო. სწორედ მაშინ გაუჩნდა თეორია იმის შესახებ, რომ წყნარი ოკეანის კუნძულები შეიძლება სამხრეთ ამერიკიდან ნავეებით მოსული ადამიანებით იყო

დასახლებული და ამ თეორიის დამტკიცებაც გადწყვიტა, რისთვისაც კარგა დიდი დრო დასჭირდა, რადგან წინ მსოფლიო ისტორიის ყველაზე სისხლისმღვრელი ომი იყო.

მეორე მსოფლიო ომმა თურ ჰეიერდალს კანადაში მოუსწრო, სადაც ადგილობრივი ინდიელების ყოფას სწავლობდა. 1940 წლის აპრილში გერმანიამ ნორვეგიის ოკუპაცია მოახდინა და სამშობლოდან შორს მყოფ პატრიოტ ახალგაზრდას ერთი სული ჰქონდა, როდის ჩაებმებოდა ბრძოლაში, თუმცა ამისთვის დიდხანს მოუწია ლოდინი, ინგლისში სამხედრო კურსები გაიარა და ნორვეგიაში დივერსიული ჯგუფის შემადგენლობით გადავიდა. მანამდე გემი, რომლითაც ნორვეგიისკენ მიემართებოდა, გერმანულმა წყალქვეშა ნავმა კინალამ ჩაძირა.



თურ ჰეიერდალი მეუღლესთან ერთად კუნძულ ფატუ-ჰივაზე

## მოგზაურობა

როდესაც ევროპასა და მსოფლიოში მშვიდობამ დაისადგურა, ჰეიერდალმა თავის ცხოვრების პროექტისთვის მოიცალა. 1947 წელს, ხუთ თანამემამულესთან ერთად, მოგზაური პერუში ჩავიდა სრულიად ფანტასტიკური განზრახვით – ხისაგან აგებული მარტივი ტივით წყნარი ოკეანე გადაეცურა და სამხრეთ ამერიკის ნაპირებიდან პოლინეზიის კუნძულებამდე ჩასულიყო. პოლინეზიელთა მითოლოგიაზე დაყრდნობით, ჰეიერდალი ვარაუდობდა, რომ ეს კუნძულები სამხრეთ ამერიკიდან ზღვით მისული ინკების შთამომავლებით იყო დასახლებული. დღეს, როდესაც გენეტიკური ანალიზის საშუალებით მეცნიერებს შეუძლიათ მსოფლიოში ადამიანის განსახლების საკმაოდ მკაფიო სურათი შექმნან, ნორვეგიელის თეორია უარყოფილია. ამ თეორიას მეცნიერული წრეები არც მაშინ ეთანხმებოდნენ, ხოლო ტივით ოკეანის გადაცურვა მეზღვაურებს გაუგონარ სიგიჟედ მიანდათ.

პერუს მთავარი პორტიდან – კალიაოდან – ნორვეგიულ ექსპედიციას ისე აცილებდნენ, როგორც უეჭველ სიკვდილზე მიმავალ გუნდს, მაგრამ ჰეიერდალმა და მისმა თანამოაზრეებმა იცოდნენ, რას აკეთებდნენ.

როდესაც XV საუკუნის ბოლოდან ესპანელებმა სამხრეთ ამერიკის ნაწილი დაიპყრეს და სისხლის ზღვა დაატრიალეს, მათ საკმაოდ კარგად აღწერეს ადგილობრივთა წეს-ჩვეულებები. სწორედ ესპანელ კონკისტადორთა წიგნებში აღმოაჩინა ჰეიერდალმა ხსენება ბალსის ხის




თურ ჰეიერდალი კანადაში

მსუბუქი მერქნისგან დამზადებული ტივებისა, რომლებითაც ინდიელები კარგა ღრმად შედიოდნენ ოკეანეში. იმავე წიგნებში იპოვა ამ ტივების სურათები. ოღონდ პრობლემა ის იყო, რომ ძვირფასი ხეები დიდი ხნის წინ გაეჩეხათ ოკეანის სანაპიროზე და მათ მოსაპოვებლად ნორვეგიელებს კონტინენტის შიგნით მოუწიათ შეღწევა. ეკვადორში მოჭრეს ცხრა ხე და მათი ძვირფასი მერქანი პერუში ჩაიტანეს.


რადგან მოგზაურების მიზანი იყო, ყველაფერში ძველი ინკების მსგავსად მოქცეულიყვნენ, ტივის აგების დროს არ გამოუყენებიათ რკინის არც ერთი ლურსმანი. ტივის ძირი ერთმანეთზე თოკებით გადაბმული ბალსის ხის ცხრა სქელი მორისგან შედგებოდა, ამ ძირზე ზევიდან პერპენდიკულარულად იყო გადაკრული ცხრა უფრო მცირე ზომის მორი, ხოლო მათზე დამაგრებული იყო ბამბუკისგან გაკეთებული იატაკი. ტივის ცენტრში იდგა ბამბუკისგანვე აწყობილი



ასალგაზრდა თურ ჰეიერდალი



ბალსის ტივი



მზადება „კონ-ტიკით“ მოგზაურობისთვის

„კონ-ტიკის“ მარშრუტი

ქობი, რომელშიც მოგზაურები დღისით თაკარა მზისგან აფარებდნენ თავს, ღამით კი ეძინათ. ტივს ჰქონდა საჭე და იალქნები. ეს უცნაური კონსტრუქცია, რომელსაც ჰეიერდალმა ინკების ღმერთის სახელი „კონ-ტიკი“ უწოდა, 1947 წლის 28 აპრილს წყალში ჩაუშვეს და დაიწყო ჯერ არ-ნახული მოგზაურობა, რომლის შედეგსაც მთელი მსოფლიო ინტერესით ელოდა.

რა თქმა უნდა, ჰეიერდალს თავგადასავალი ბრმად არ ნამოუწყია, მას შესწავლილი ჰქონდა ოკეანის დინებები და ქარის მიმართულება, რომელიც პერუს სანაპიროდან მუდმივად დასავლეთისკენ უბერავდა. ამ ქარის და დინების წყალობით „კონ-ტიკიმ“ მაშინვე ისეთი ტემპი აიღო, რომ პირველივე ცდაზე, როდესაც ჯგუფის ოპერატორი რეზინის ნავში გადაჯდა, რათა „კონ-ტიკი“ გვერდიდან გადაეღო, აღმოჩნდა, რომ ნიჩბების მოსმითაც კი ვერ დაეწყო ტივს. მაშინ, უკანასკნელ წამს, ჯგუფის სხვა წევრმა

წელზე თოკი მოიბა, წყალში გადაეშვა და ასე მოახერხა ნავამდე მიღწევა და ოპერატორის ტივზე დაბრუნება. ამ შემთხვევის მერე ექსპედიციის წევრები მხოლოდ თოკით დაბმულები თუ ტოვებდნენ ტივს და ისიც შორს ვერც მიცურავდნენ, რადგან წყნარი ოკეანე ზვიგენებით იყო სავსე. ნორვეგიელებს დაბმულებსვე ეძინათ, რომ მორიგ ტალღას ზღვაში არ გადაეყარა.

მოგზაურებს თან ჰქონდათ ერთი ტონა მტკნარი წყალი, რომელსაც ეკონომიის მიზნით ოკეანის წყალთან აზავებდნენ და ისე სვამდნენ. ერთი-ერთზე გაზავებული მარილიანი და მტკნარი წყალი სასმელად ვარგისი იყო და წყურვილსაც კლავდა. ნორვეგიელები სვამდნენ დაჭერილი თევზის ლიმფურ სითხესაც, რისთვისაც თევზს ხვრეტდნენ და ნახვრეტიდან ნაჟურ სითხეს აგროვებდნენ. აღმოჩნდა, რომ ამ გზითაც შეიძლებოდა წყურვილის მოკვლა.

„კონ-ტიკის“ ეკიპაჟი. მარცხნიდან: კნუტ ჰაუგლანდი, ბენგტ დანიელსონი, თურ ჰეიერდალი, ერიკ ჰესელბერგი, ტორსტენ რები, ჰერმან ვაცინგერი





თური „კონ-ტიკის“ ანკაჯა



ზვიგენჯა ნადირობა

მოგზაურთა საკვებ რაციონში მთავარი მათ მიერ პრიმიტიული მეთოდებით მოპოვებული თევზი იყო. ნორვეგიელები ძალიან ადვილად იჭერდნენ გაუმადლარ ზვიგენებსაც. საკმარისი იყო კაუჭით დაბოლოებული ჯოხის წყალში ჩაყოფა, რომ მტაცებელი მაშინვე დატაკებოდა კაუჭზე წამოცმულ ხორცის ნაჭერს. მთავარი სამუშაო მაშინ იწყებოდა, როდესაც ზვიგენს ტივზე აათრევდნენ და იქ მისი მოკვლა შუბების და ხელკეტების საშუალებით უწევდათ.

აქვე უნდა ითქვას, რომ ზვიგენები, რომლებზეც ისინი ნადირობდნენ, პატარა ზომისა იყვნენ, მაგრამ ჰეიერდალის ექსპედიციის წევრებმა კამერით გადაიღეს სცენა, როდესაც მათ ტივს უზარმაზარი ვეფხვისებრი ზვიგენი მოსდევდა. ეს უნიკალური კადრებია, პირდაპირი ზღვის ურჩხული ლამის ტივზე ამოხტეს, ბარჯებმომარჯვებული ნორვეგიელები კი დაძაბულები უცქერენ მის ყოველ მოძრაობას. ბოლოს ერთ-ერთს ნერვები უმტყუნებს და ბარჯს მთელი ძალით ჩაასობს ზვიგენს. მტაცებელმა დაყვინთა, თოკი, რომლითაც ბარჯი მობმული ჰქონდა ტივს, დაიჭიმა და განყდა, მაგრამ ზვიგენი მეტი აღარ გამოჩენილა.

მოგზაურებისთვის უსიამოვნო იყო ვეშაპების გუნდთან შეხვედრაც. ოკეანის გოლიათებმა თითქოს ალყა შემოარტყეს ტივს, რომლის გადაბრუნება კუდის ერთი დარტყმით შეეძლოთ, მის ქვეშ ცურავდნენ, ისე ახლოს იყვნენ, რომ ამოყვინთვისას მათგან გაშვებული წყლის ქავლი მოგზაურებს წუნავდა, მაგრამ ყველაფერმა მშვიდობით ჩაიარა.

„კონ-ტიკი“ დღეში საშუალოდ 80 კილომეტრს გადიოდა, რეკორდი კი დღეში 120 კილომეტრი იყო. მთლიანობაში ნორვეგიელებს ამინდში გაუმართლათ, მხოლოდ ორჯერ მოხვდნენ საშინელ ქარიშხალში, რომლის მერეც ტივს სერიოზული შეკეთება დასჭირდა, ოღონდ სარემონტო სამუშაოებიც გზადაგზა ტარდებოდა, რადგან გაჩერების საშუალება უბრალოდ არ იყო.

მოგზაურობის 99-ე დღეს ატეხილმა ქარიშხალმა შეინირა პერუდან წამოყვანილი ყველასთვის საყვარელი თუთიყუშის სიცოცხლე. ეს მოლაპარაკე ფრთოსანი ძალიან ახალისებდა ეკიპაჟის ყოფას. მართალია, თუთიყუშმა ესპანური სიტყვები იცოდა, მაგრამ თავის წიგნში ჰეიერდალი წერდა, რომ სულ მალე ფრინველი ნორვეგიეუ-



ტორსტენ რეტი თუთიყუშთან ერთად

ლი აქცენტით ალაპარაკდა. იმ დიდი შტორმის დროს კი თუთიყუში უბრალოდ გაქრა, ეტყობა, ტალღამ ზღვაში გადააგდო.

საბედნიეროდ, თუთიყუში მაშინ ერთადერთი დანაკარგი აღმოჩნდა. რამდენიმე დღეში მოგზაურებმა ჯერ წყლის თავზე ფრინველი შენიშნეს, რაც მიწის სიახლოვის უტყუარი ნიშანი იყო და მერე – პოლინეზიის ერთ-ერთი კუნძული, რომლისკენაც ტივის მიბრუნება ვერ შეძლეს, რადგან ქარი მათ წინ მიაქანებდა. კიდევ რამდენიმე კუნძულს გასცდნენ და ბოლოს ერთ-ერთისკენ მოახერხეს ტივის მიტრიალება, მაგრამ ხმელეთამდე რამდენიმე ასეული მეტრით დაცილებული „კონ-ტიკი“ მარჯნის რიფზე შეჯდა. იმ მომენტში, როდესაც მარჯნის რიფთან შეჯახება გარდაუვალი გახდა, ექსპედიციის რადისტი მორზე ანბანით ელაპარაკებოდა რადიომოყვარულს ახალი ზელანდიიდან, რომლის სიგნალის დაჭერაც შემთხვევით შეძლო. მოგზაურებმა ახალ ზელანდიელს სთხოვეს, რომ 35 საათი მოეცადა და თუკი მათგან არანაირი სიგნალი აღარ იქნებოდა, მსოფლიო განგაში აეტყუა. რიფთან შეჯახება მოგზაურობის ფინალური და ყველაზე დრამატული მომენტი იყო. ტივი გადარჩა, უბრალოდ, რიფზე შერჩა და გაიჭედა. მისი იქიდან დაძვრა შეუძლებელი აღმოჩნდა, ნაპირამდე კი სულ ორასიოდ მეტრი იყო დარჩენილი. მალე დაიწყო ოკეანის მიქცევა. წყლის დონე


ნემ დაინია და მუხლამდე წყალში მოგზაურები ფეხით მივიდნენ კუნძულამდე. ეს მოხდა მოგზაურობის დაწყებიდან 103-ე დღეს. ხის ტივი, რომელმაც ღია ზღვაში 8 000 კილომეტრი გაიარა, რიფზე დარჩა. ნორვეგიელებმა კი ამდენი ხნის მანძილზე პირველად გაიარეს ხმელეთზე, გადაიტანეს გადარჩენილი ბარგი, გააშრეს და ააწყვეს დასველებული და დაზიანებული რაცია და იმ დროს აუწყეს მსოფლიოს ექსპედიციის წარმატებით დასრულება, როდესაც დათქმული 35 საათიდან, მხოლოდ 5 იყო დარჩენილი.

„კონ-ტიკის“ მოგზაურობის მერე თურ ჰეირალი მსოფლიოში ერთ-ერთ ყველაზე პოპულარულ ადამიანად იქცა. რა თქმა უნდა, იგი მიღწეულს არ დასჯერდა და ჩვეული ცხოვრება გააგრძელა – ქმნიდა აბსოლუტურად არამეცნიერულ, მაგრამ პოპულარულ თეორიებს და მერე პირადი მაგალითით ცდილობდა მათ დამტკიცებას. მას არასოდეს აინტერესებდა პროფესიონალი მეცნიერების აზრი, მისი წიგნები სამეცნიერო წრეებზე მეტად ფართო მკითხველისთვის იყო განკუთვნილი, მაგრამ ეს კაცი, რომელიც არაფრად აგდებდა დაბრკოლებებს და ფათერაკს, თავისებურ მსოფლიო კეთილი ნების ელჩად იქცა.

ხოლო როდესაც ჰეირალმა ატლანტის ოკეანის გადაცურვა განიზრახა, ტრანსპორტად კი ლერწმისგან აგებული ნავი აირჩია, ისეთი, როგორითაც ნილოსზე დაცურავდნენ ძველი ეგვიპტელები, მან ნორვეგიული ეკიპაჟის ნაცვლად, ნავზე მსოფლიოს სხვადასხვა კუთხიდან სხვადასხვა აღმსარებლობისა და რასის ხალხი მიიწვია. ამით ჰეირალს უნდოდა ეჩვენებინა, რომ მსოფლიო ყველასია.

ნავს ეგვიპტური ღმერთის სახელი „რა“ უწოდეს. ამჯერად მოუსვენარ ნორვეგიელს უნდოდა საკუთარი მაგალითით ეჩვენებინა,

**„კონ-ტიკის“ ბორტზე მიჯგუფლი მუზღვაურები**



# მომზაურობა



„რას“ და „რას-2-ის“ მარშრუტები



სომალდი „რას-2“

რომ ამგვარი ტრანსპორტით ძველ ეგვიპტელებს შეეძლოთ მიეღწიათ ამერიკის ნაპირებამდე და ეგვიპტური და სამხრეთამერიკული პირამიდების მსგავსება მხოლოდ იმის ნიშანი იყო, რომ ისინი ერთმა და იმავე ხალხმა ააგო. დღეს მისი ეს თეორიაც უგულვებელყოფილია, მაგრამ თავგადასავალი დღესაც ყველას აღაფრთოვანებს.

„რას“ ეკიპაჟის შვიდივე წევრი სხვადასხვა ქვეყნიდან იყო. ჰეიერდალმა ექიმად რუსი მოგზაური იური სენკევიჩი მიიწვია, რაც იმ დროისთვის საკმაოდ უჩვეულო რამ იყო, რადგან საბჭოთა კავშირი დასავლური სამყაროს დაუძინებელ მტრად განიხილებოდა, მაგრამ ნორვეგიელი მოგზაური ამ ყველაფერზე მაღლა იდგა. ექსპედიციის ოპერატორი და ფოტოგრაფი იყო გამორჩენილი იტალიელი მთამსვლელი და მოგზაური კარლო მოური, რომელიც მსოფლიოს არაერთ ურთულეს მწვერვალზე იყო ასული და ფეხით ჰქონდა გავლილი მარკო პოლოს გზა იტალიიდან ჩინეთამდე. იმ დროს უკვე დაწყებული იყო ჯერაც დაუსრულებელი კონფლიქტი ისრაელსა და არაბულ სამყაროს შორის, ჰეიერდალმა ისიც მოახერხა, რომ ეკიპაჟში ერთი არაბი და ერთიც ებრაელი წევრი ჰყოლოდა. საერთოდაც, ექსპედიციის არც ერთი წევრი არ იყო უბრალო ადამიანი, ყველაზე საინტერესო კი ისაა, რომ ერთადერთი პროფესიონალი მეზღვაური ნავზე იყო მესაჭე – ამერიკელი ნორმან ბეიკერი.

აქვე ვიტყვით, რომ პირველი ცდით ატლანტის ოკეანის გადაცურვა ვერ მოხერხდა, რადგან „რას“ კონსტრუქცია არ აღმოჩნდა სრულყოფილი – ნავი ცალ მხარეს იხრებოდა და წყალს ხაპავდა. ჰეიერდალი და მისი ხალხი წარმოუდგენელი შეუპოვრობის და სიჯიუტის ხარჯზე განაგრძობდა გზას. ყოველი მორიგი ქარიშხალი ჩაძირვით ემუქრებოდა სიფრიფანა ნავს, რომელიც მოგზაურობის 51-ე დღეს უბრალოდ შუაზე გადატყდა და ეკიპაჟს მისი მიტოვება მოუწია. ჰეიერდალმა შემდეგ წელს იმავე მასალით ააგო




სომალდი „რას“

უკეთესი ნავი – „რა-2“ და იმავე ეკიპაჟით მაროკოდან წასულმა, მშვიდობით ჩააღწია ბარბადოსამდე. წყნარი ოკეანის კვალდაკვალ ბობოქარი ატლანტის ოკეანეც დამორჩილდა ჯიუტი ნორვეგიელის ნებას.

„კონ-ტიკის“ და „რას“ მოგზაურობებს შორის 22 წელია. ამ ხნის განმავლობაში ჰეიერდალი წამით არ გაჩერებულა, აწარმოებდა არქეოლოგიურ გათხრებს ალდგომის კუნძულზე, ქმნიდა ახალ-ახალ თეორიებს და წერდა წიგნებს. მისი ერთ-ერთი თეორიის მიხედვით, დღევანდელი სკანდინავიელების ისტორიული სამშობლო დღევანდელი აზერბაიჯანის ტერიტორიაზე მდებარეობდა, ხოლო უძველესი კავკასიელი ხალხის – უდების სახელი ვიკინგების წარმართული ღმერთის სახელს, ოდინს, დაუკავშირა. ჰეიერდალმა რამდენჯერმე იმოგზაურა აზერბაიჯანში და ბაქოს სამხრეთით, გობუსტანში, კედლებზე ამოტვიფრული ძველი ნახატები ძველ სკანდინავიურ სიმბოლოებთან დააკავშირა.

1977 წელს ჰეიერდალმა კიდევ ერთი ლერწმის ნავი ააგო, მან მდინარე ტიგროსით, ერაყიდან, სპარსეთის ყურის გავლით ინდოეთის ოკეანეში შეცურა, შემდეგ არაბეთის ნახევარკუნძულს შემოუარა, მაგრამ წითელ ზღვაში აღარ შესულა. აღმოსავლეთ აფრიკის პატარა ქვეყნის, ჯიბუტის, სანაპიროსთან მოგზაურებმა ნავი დაწვეს, რითაც რეგიონში წარმოებულ ომების წინააღმდეგ პროტესტი გამოხატეს.

თურ ჰეიერდალი იმით არის უნიკალური, რომ მისი არსებობა უფრო მნიშვნელოვანი იყო, ვიდრე მისი სრულიად ფანტასტიკური და დაუმტკიცებელი თეორიები. ეს უნიკალური ადამიანი უყვარდათ ყველგან, სადაც არ უნდა ჩასულიყო. ალბათ, იშვიათად მოიძებნება ვინმე სხვა, რომელიც ამდენი სხვადასხვა სახელმწიფოს ჯილდოების მფლობელი იყოს. რა თქმა უნდა, ის განსაკუთრებით მშობლიურ ნორვეგიაში უყვართ, რადგან პატარა, ხუთმილიონიანი ერისთვის თითოეული სახელგანთქმული შვილი განსაკუთრებით ძვირფასია.



თურ ჰეიერდალი ალდგომის კუნძულზე

1994 წელს მსახიობ ლივ ულმანთან ერთად სწორედ 70 წლის თურ ჰეიერდალს ერგო პატივი ლილეჰამერის ზამთრის ოლიმპიური თამაშები გაეხსნა. მოგზაურს არასოდეს ჰყოლია ამხელა აუდიტორია, იმ დღეს ის მილიარდზე მეტი ტელემაყურებლის წინაშე წარდგა.

87 წლის თურ ჰეიერდალი 2002 წლის 18 აპრილს ოჯახის წევრების გარემოცვაში, იტალიის პატარა ქალაქ ალასიოში გარდაიცვალა.

სომალდ „რას“ ეკიპაჟი

